

ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობა 31.12.2018

აქტივები	შენიშვნა	31-12-18	31-12-17
ძირითადი საშუალებები	1	730,483.00	777,662.00
სულ გრძელვადიანი აქტივები		730,483.00	777,662.00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	18,563.00	326.00
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	3	10,150.00	12,258.00
გადახდილი ავანსები	3	16,594.00	14,589.00
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	263,526.00	188,785.00
სულ მიმდინარე აქტივები		308,833.00	215,958.00
სულ აქტივები		1,039,316.00	993,620.00
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	5	122,390.00	107,037.00
საგადასახადო ვალდებულებები	6	41,369.00	35,287.00
სასესხო ვალდებულებები	7	329,137.00	427,917.00
სხვა ვალდებულებები	8	342,670.00	360,946.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები		835,566.00	931,187.00
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	65,705.00	65,705.00
გასანაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	9	138,045.00	3,272.00
სულ კაპიტალი		203,750.00	62,433.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,039,316.00	993,620.00

შპს "დელტა გაზი"-ს დირექტორი:

ბუღალტერი:



[Handwritten signature]
 თ. მელიქიძე

/დ. ჩახტაური/

/თ. ნიკურაძე/

შპს "ომეგა გაზი" ს/ნ 405044606

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

#	დასახელება	თანხა
შემოსავალი		
1	შემოსავალი მიწიდებიდან და მომსახურებიდან	2,172,588.00
2	სესხის მიღება	18,518.00
	სულ შემოსავალი	2,191,106.00
გასავალი		
1	გადახდილი ხელფასები	77,370.00
2	გადახდილი გადასახადები	426,192.00
3	სესხის გადახდა (ბანკი)	109,213.00
4	გადახდილი %	28,563.00
5	ბანკის მომსახურების ხარჯი	1,955.00
6	შემძენილი გაზის ღირებულება	1,235,234.00
7	იჯარა	8,605.00
8	კომუნალური გადასახადები; კომუნიკაცია (წყალი, ელექტროენერგია; დასუფთავება)	89,899.00
9	გამა ქარდის ღირებულება	82,134.00
10	დაცვა	1,245.00
12	საკანცელარიო, საოფისე, ნოტარიალური ხარჯი	
13	ვალდებულება დამფუძნებლების წინაშე	18,276.00
14	ძ/საშუალებების მიმდინარე რემონტი	34,515.00
15	აუდიტორული და ნოტარიალური მომსახურება	3,164.00
	სულ გასავალი	2,116,365.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	188,785.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	263,526.00

შპს "დელტა გაზი"-ს

ბუღალტერი:



დირექტორი: /დ. ჩახტაური/

თ.ნიკურაძე /თ.ნიკურაძე/

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლის, ხარჯის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ანგარიში	შემოსავალი	თანხა
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან	1,546,272.00
8130	არასაოპერაციო მოგება	8,296.00
	სულ შემოსავალი	1,554,568.00
	ხარჯები	
7110	სხვა მასალები	5,900.00
7210	გაყიდული/შეძენილი საქონელი	1,063,921.00
7410	შრომის ანაზღაურება	98,588.00
7412	საკანცელარიო ხარჯი	2,812.00
7440	კომუნალური ხარჯები	77,249.00
7420	საიჯარო ქირა	4,714.00
7421	დაცვა	1,100.00
7440	მიმდინარე რემონტი	2,943.00
7450	საკონსულტაციო ხარჯები	2,367.00
7490	სხვა საერთო ხარჯი	1,657.00
7495	შპს "ცისარტყელა"-ს მომსახურება	65,616.00
8210	საპროცენტო ხარჯები	28,563.00
8220	არასაოპერაციო გარდალი	1,185.00
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1,018.00
7465	სხვა საგადასახადო ხარჯი	6,720.00
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	48,898.00
	სულ ხარჯი	1,413,251.00
	ფინანსური დასაბეგრი მოგება 2018	141,317.00
	წინა პერიოდის ზარალის გამოქვითვა	3,272.00
	დასაბეგრი მოგება	138,045.00

შპს "დელტა გაზი"-ს დირექტორი:

/დ. ჩახტაური/

ბუღალტერი:

/თ.ნიკურაძე/



შპს „ომეგა გაზი“ (საინდეტიფიკაციო # 405044606)

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „ომეგა გაზი“ (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 22 მაისს, საინდეტიფიკაციო ნომრით: 405044606.

1.2. საზოგადოების საქმიანობის საგანი:

- საზოგადოება განახორციელებს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ საქმიანობას, რომელიც მოგების მისაღებად არის გამიზნული;
- საქმიანობის ძირითადი საგანია გაზით ავტოგასამართი სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება;
- საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სამიანობა, რაც პირადაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებსა და ინტერესებს, აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
- ყველა ის საქმიანობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, განხორციელება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის ალების შემდეგ;
- საზოგადოება უფლებამოსილია დააარსოს ფილიალები და წარმომადგენლობები თავისი მიზნების განსახორციელებლად, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს იმავე ან მსგავსი მიზნების მქონე საზოგადოებაში.

1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. ორგანიზაციის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი;

2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში,

რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

- 2.4. საწარმო წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;
- 2.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ ორგანიზაციის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;
- 2.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2017 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;
- 2.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;
- 2.9. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;

- 2.10. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა);
- 2.11. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
- 2.12. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - საქონლის მიწოდების შემდეგ, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.
- 2.13. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ არიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;
- 2.14. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება ~~საპროცენტო ხარჯი~~ და საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 2.15. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;
- 2.16. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.17. ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ

საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მოღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალშიშეძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.

2.18. ჯერ-ჯერობით მოგების განაწილება არ მომხდარა, დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები და ერთი ადგილობრივი იურიდიული პირი.

2.19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;

2.20. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად;

2.21. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:

- ბალანსს ((შენიშვნებით);
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.

ბალანსზე დართული შენიშვნები:

შენიშვნა 1 - ძირითადი საშუალებები

#	ბალანსი 31 დეკემბერი 2017 წელი	777,662.00
1	მიწის ნაკვეთები	139,326.00
2	შენობა-ნაგებობები	239,448.00
3	მანქანა-დანადგარები	391,054.00
4	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	7,834.00
#	ნაშთი 31 დეკემბერი 2018 წელი	730,483.00
1	მიწის ნაკვეთები	139,326.00
2	შენობა-ნაგებობები	221,296.00
3	მანქანა-დანადგარები	362,216.00
4	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	7,645.00

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

#	დასახელება	31-12-2018 წელი
1	საქონლო-მატერიალური მარაგი	142.00
2	საქონელი გზაში	18,421.00
		<u>18,563.00</u>

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული
დავალიანება

#	დასახელება	31-12-2018 წელი
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10,150.00
2	გადახდილი ავანსები	16,594.00
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	26,744.00

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31-12-2018 წელი
1	წალდი ფული სალაროში	108,245.00
2	ფული საბანკო ანგარიშზე	155,281.00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	263,526.00

შენიშვნა 5 - სავაჭრო ვალდებულებები

#	დასახელება	31-12-2018 წელი
1	შპს გამა	240.00
2	შპს დემარმარი	87.00
3	შპს ივერსი	68.00
4	ი.მ. ავთანდილ გორგილაძე	650.00
5	შპს ლაშა	100.00
6	შპს ოფის ერთი	140.00
7	შპს დრიმლენდი	85.00
8	შპს ჯინ-ჯგუფი	40.00
9	შპს ჰანსა-ფლექსი	60.00
10	ნოტარიუსი მედეა გვაზავა	153.00
11	შპს ცისარტყელა	6,647.00
12	შპს სოკარ ჯორჯია გაზი	113,211.00
13	შპს ეკონომპრინტ	150.00
14	ი.მ. შალვა დიასამიძე	521.00
15	შპს საფე ჯორჯია	60.00
16	შპს ალგანი	80.00
17	შპს ლიდერ-ბილდერი 777	53.00
18	შპს სტარ-X	45.00
	ჯამი	<u>122,390.00</u>

შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31-12-2018 წელი
1	მოგების გადასახადი	7,634.00
2	საშემოსავლო გადასახადი	5,901.00
3	დღგ-ს გადასახადი	2,477.00
4	აქციზი	24,774.00
5	ქონება და მიწის გადასახადი	583.00
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	41,369.00

შენიშვნა 7 - სასესხო ვალდებულებები

#	დასახელება	31-12-2018 წელი
1	სესხი თიბისი ბანკიდან	329,137.00
	სულ სასესხო ვალდებულებები	329,137.00

შენიშვნა 8 - სხვა ვალდებულებები


#	დასახელება	31-12-2018 წელი
1	ვალდებულება დამფუძნებლების წინაშე (კაპიტალის შემცირება)	342,670.00
	სულ სასესხო ვალდებულებები	342,670.00

შენიშვნა 9 - კაპიტალი

#	დასახელება	დაუფარავი ზარალი	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	- 3,272.00	65,705.00	62,433.00
2	მოგება	141,317.00		141,317.00
3	ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	138,045.00	65,705.00	203,750.00

შპს "დელტა გაზი"-ს დირექტორი:

ბუღალტერი:



Handwritten signature in blue ink.

/დ. ჩახტაური/

/თ.ნიკურაძე/